შეკითხვები მთარგმნელ/თარჯიმანთა IV გამოშვების მსმენელებს

ტყეშელაშვილი თამთა

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება გადავწყვიტე ინგლისურ ენაში ცოდნის გაღრმავების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. კონკრეტულად ეს კურსები ავირჩიე, რადგანაც მის შესახებ ბევრი მსმენოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის უცხო ენათა უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სწავლება საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   ყველა მასწავლებელი გამოირჩევა მაღალი დონის პროფესიონალიზმით, საკუთარი საქმისადმი დიდი სიყვარულით და სტუდენტებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. თითოეულ მათგანს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისთვის.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   ჩემი მოლოდინი გამართლდა. ჩვენს კურსებზე ჩაბარების მსურველებს ვურჩევდი, რომ აუცილებლად ჩააბარონ, რადგანაც აქ მიეცემათ მაღალ პრეფესიონალ მასწავლებლებთან სწავლის შესაძლებლობა.აქ მათ დახვდებათ სტუდენტებზე ორიენტირებული, სასიამოვნი გარემო. ასევე მათ ვურჩევდი რომ ჩაბარებამდე ცოდნა გაიღრმაონ როგორც უცხო, ასევე მშობლიურ ენაში,რათა სწავლის პროცესში მეტი დრო დაუთმონ თარგმნის ტექნიკის შესწავლას.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   მთარგმნელ/ თარჯიმანთა უმაღლეს კურსებს ვუსურვებ ბევრ ნიჭიერ სტუდენტს და ბევრი საერთაშორისო დონის თარჯიმნის აღზრდას.

გოისაშვილი ია

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე გადავწყვიტე ჩამებარებინა აღნიშნულ კურსებზე.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სასწავლო პროცესი ნამდვილად კარგად იყო ორგანიზებული, გავიღრმავეთ ცოდნა ყველა იმ საგანში რაც მთარგმნელ/თარჯიმნისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების დახვეწაში დაგვეხმარა. თუმცა მინდა ავღნიშნო, რომ თუ შესაძლებელი იქნება, უკეთესია ჯგუფები დონეების მიხედვით განაწილდეს.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   ყველა მასწავლებელი იყო კომპეტენტური, მოტივირებული და არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებების მატარებელი ადამიანი. სწორედ მასწავლებლების დიდი დამსახურება იყო ის, რომ კურსები იყო ნაყოფიერი და ზოგადი გარემო კი სასიამოვნო.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   კი, ნამდვილად გაამართლა მოლოდინი და შეიძლება ითქვას გადააჭარბა კიდეც.
   ყველა ადამიანს ვისაც სურს არა მარტო თარჯიმნად მუშაობა, არამედ შეხება აქვს წერილობით თუ ზეპირ თარგმანთან, რეფერირებასთან, ყველას ვურჩევ ჩააბაროს ამ კურსებზე.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   გისურვებთ ბევრი კარგი და კვალიფიციური თარჯიმანი გაგეზარდოთ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის პედაგოგებს, ინსტიტუტს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს წელიწად ნახევარი სასაიმოვნო გარემო შეგვიქმნა და პროფესიულ წინსვლაში დაგვეხმარა.

ჩაგანავა ნათია

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება გადავწყვიტე იმიტომ, რომ მინდოდა გამომემუშავებინა თარჯიმნის უნარები.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სწავლა იყო კარგად ორგანიზებული. ყოველდღიურად საღამოს გვქონდა ლექციები

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   ყოველ დღე მასწავლებლები კარგად მომზადებულები იყვნენ ლექციისთვის და კარგად გვიხსნიდნენ მასალას.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   ჩემი მოლოდინი გამართლდა, მსურველებს ვურჩევდი უფრო მეტ მუშაობას

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   წარმატებებს გისურვებთ და ბევრი წარმატებული თარჯიმანი გაგეზარდოთ

ბერიკაშვილი დიანა

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   მსურდა შემესწავლა მთარგმნელისთვის საჭირო და აუცილებელი უნარ-ჩვევები.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სწავლებით ვარ ძალიან კმაყოფილი, ლექციები ტარდებოდა ჩვენთვის სასურველ დროს, ანუ საღამოს საათებში და რაც მთავარია არ ცდებოდა ლექციები.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   მე ასეთი სრულყოფილი მასწავლებლების კოლექტივი ჯერ არ შემხვედრია, ყველა მათგანი თავის საქმის პროფესიონალია .

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   ვისაც სურს ნამდვილად დაეუფლოს თარჯიმნის უნარ-ჩვევებს, ვურჩევ გაიაროს ეს კურსები.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   'სანგუ'-ს კურსებმა მოლოდინი გაამართლა. ასე გააგრძელეთ.

ოსიყმაშვილი თეონა

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი ჩემი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებითა და გაღრმავებით, აღნიშნული კურსი ამის შესანიშნავი საშუალებაა, რადგან სურვილი მაქვს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და კონკურენტუნარიანი მთარგმნელი/თარჯიმანი გავხდე.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სწავლების ორგანიზებითა და საგნებით ნამდვილად კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, ბევრი რამ შევიძინე.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   თქვენი კურსის დიდი უპირატესობა სწორედ ისაა, რომ ნამდვილად მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები გყავთ.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   ჩემი მოლოდინი ნამდვილად გამართლდა და უკვე არაერთს ვურჩიე აღნიშნულ კურსზე ჩაბარება.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   ვისურვებდი თავად სინქრონული თარგმნის ლექციებს უფრო მეტი საათები დაეთმოს. მინდა დიდი წარმატებები და ბევრი სტუდენტი გისურვოთ, და აქვე დიდი მადლობა გადაგიხადოთ.

მაისაშვილი მარიამი

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   ჩემი დიდი სურვილის შესაბამისად გადავწყვიტე ჩამებარებინა მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლეს კურსზე, რადგან აუცილებლად მივიჩნიე პროფესიიდან და საქართველოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესაბამისად ამემაღლებინა კვალიფიკაცია.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სწავლება იყო სტანდარტების შესაბამისად სრულყოფილად ორგანიზებული, და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული და დახვეწილი.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   მაღალკვალიფიცირებული, სამართლიანი, ყურადღებიანი და ძალიან, ძალიან თბილი და საყვარელი იყო ყველა მასწავლებელი.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   ჩემი მოლოდინი გამართლდა. მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება გამევლო მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი კურსი, რამაც დიდი გამოცდილება და ის უნარ-ჩვევები შემძინა, რაც ყველა მთარგმნელსა და თარჯიმანს უნდა ჰქონდეს.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   ძალიან დიდი სურვილი მაქვს კურსის გაგრძელების, ძალიან მოხარული და ბედნიერი ვიქნები, თუ მომეცემა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა იმ გარემოში, რომელიც უკვე საოცრად მენატრება.

პაპავა ქეთო

სანამ კითხვებზე პასუხის გაცემას დავიწყებდე,მინდა უდიდესი პატივისცემა გამოვხატო ყველა ლექტორის მიმართ.

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   ზემოთაღნიშნულ კურსებზე ჩაბარებაზე მუდამ ვფიქრობდი,მაგრამ საბოლოოდ გადავწყვიტე მას შემდეგ, რაც შევიტყვე, რომ თქვენს უნივერსიტეტში არსებობდა ასეთი კურსები,სადაც სწავლება უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   ვფიქრობ, რომ სწავლება უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული,ამ კურსებისთვის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით. თითოეულ ლექციას ეტყობოდა პროფესიონალის ხელი.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   მინდა ყველა ლექტორზე აღფრთოვანებით ვისაუბრო.მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ განათლებულ, მეგობრულ და უთბილეს ადამაინებთან მომიწია ურთიერთობა და მსურს უდიდესი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   უნდო ვაღიარო, რომ ამ კურსებმა ჩემ მოლოდინს გადააჭარბა. კუსებზე ჩაბარების მსურველებს ვურჩევდი, რომ არჩევანი" ქართულ უნივესიტეტზე" გააკეთონ, რადგან აქ ერთ დიდ, თბილ ოჯახში იგრძნობთ თავს. ასეთ საოცარ გარემოში სწავლა უდიდესი ბედნიერებაა.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   მინდა, კურსებს ვუსურვო წარმატებები და ძალიან ბევრი პროფესიონალის აღზრდა.

თურაზაშვილი ელისო

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება გადავწყვიტე იმიტომ, რომ ვთვლი, თარჯიმნის პროფესია ყველაზე საინტერესო და მრავლისმომცველია. მიუხედავად სირთულისა, ყოველთვის მაინტერესებდა და ჩემთვის საოცნებო პროფესია იყო.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სწავლება იყო ძალიან ორგანიზებული და მოწესრიგებული.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   არაჩვეულებრივი მასწავლებლები, მათზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია, ძალიან თბილები , გულისხმიერები, ნიჭიერები და კომპეტენტურები.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   ჩემი მოლოდინები სავსებით გამართლდა და თქვენს კურსზე ჩაბარების მსურველებს ვურჩევდი, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ ის დრო, რაც კურსისთვისაა გამოყოფილი და მაქსიმალურად მიიღონ ის ცოდნა რომელსაც მათ კურსი სთავაზობს.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   რა თქმა უნდა, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ; გისურვებთ წინსვლას და უამრავი კვალიფიციური სტუდენტის გამოშვებას.

ჯანელიძე ანა

1. **რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
   კურსებზე ჩაბარება გადავწყვიტე უდიდესი სურვილის გამო გამეღრმავებინა ცოდნა ამ მიმართულებით. პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიწევდა და მიწევს მთარგმნელ/თარჯიმნის ფუნქციის შესრულება. ვთვლი, რომ კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის განახლება/გაღრმავება არასდროს არის გვიან.

2. **როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
   სწავლება იყო კარგად ორგანიზებული, ინტენსიური და შედეგზე ორიენტირებული. კურსი მოიცავდა არა მარტო სავალდებულო, არამედ საინტერესო არჩევით საგნებსაც, რაც შეესაბამებოდა კურსის მსმენელთა მოთხოვნებს.

3. **რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
   მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლესი კურსების განხილვისას, ცალკე საუბრის თემაა უდავოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე, პროფესიონალი ლექტორები, რომლებიც ყოველთვის ორიენტირებული იყვნენ მაქსიმალური შედეგის მიღებაზე. აქვე მინდა დიდი პატივისცემა გამოვხატო თითოეული მათგანის მიმართ, რადგან ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივი იყო იმ ლექტორების ლექციებზე დასწრება, რომლებიც მუდამ მზად არიან წლების განმავლობაში დაგროვებული ცოდნა და გამოცდილება დაუღალავად გაგიზიარონ.

4. **გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
   შემიძლია ვთქვა, რომ აკადემიურად ორგანიზებულმა კურსმა ჩემი მოლოდინი გაამართლა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ კურსმა შემძინა თავდაჯერებულობაა, რაც ამ პროფესიის ადამიანებისთვის აუცილებელ თვისებას წარმოადგენს. ჩაბარების მსურველებს ვუსურვებდი, რომ ნუ დაიზარებენ, იშრომონ ბევრი საკუთარ თავზე, რადგან რამდენიმე სემესტრის განმავლობაში ინტენსიური სწავლება რეალური შედეგის მომტანია.

5. **თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
   კურსის ხელმძღვანელობასა და ლექტორებს ვუსურვებ ბევრ საინტერესო, ნიჭიერ, მიზანდასახულ და წარმატებულ მსმენელს, რომლებიც მომავალში თქვენი სახე გახდებიან.